# უნივერსიტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი

№11 (54) 2015


# თსუ სტუდენტები გამოგონებას დუბაიში წარადგენენ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტი და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ფიზიკის მიმართულების სტუდენტები გიორგი მეშველიანი და სიმონ ინვია, აგრეთვე „თავისუფალი უნივერსიტეტის“ სტუდენტები გიორგი გაბარაშვილი და დიმიტრი ცხოვრებაძე მონაწილეობას მიიღებენ არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში, დუბაი მოლში DP World-ის გამოფენაზე. საერთაშორისო ტექნოლოგიურ გამოფენაზე, რომელიც 24 ნოემბრიდან 6 დეკემბრამდე იმართება, სტუდენტები ერთობლივ გამოგონებას – „ინტერაქტიულ ხელთათმანს“ წარადგენენ. ვირტუალური ხელთათმანის მეშვეობით შესაძლებელი ხდება ვირტუალურ რეალობაში ვირტუალური ობიექტების მართვა და შეგრძნება. ახალგაზრდა გამომგონებლებს კომაროვის სკოლა აერთიანებს. სხვადასხვა ერთობლივ პროექტებზე ჯერ კიდევ სკოლიდანვე დაიწყეს მუშაობა.

გაგრძელება მე-3 გვ.

# თსუ ინსტიტუტის ჟურნალი Elsevier-ის ბაზაში შევიდა

გასულ წელს შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა საქართველოში გამოცემული ჟურნალის Elsevier-ის ბაზაში განსათავსებლად კონკურსი გამოაცხადა. ამ კონკურსში მონაწილეობას 50-ზე მეტი ჟურნალი იღებდა, რომელთგანაც ფონდმა 8 შეარჩია. Elsevier-ის მიერ ამ რვა ჟურნალიდან გამორჩეულ იქნა ორი და მათგან ერთ-ერთი „ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის შრომები“ აღმოჩნდა. 2016 წლიდან ეს ჟურნალი გამოიცემა სახელწოდებით "Transactions of A.Razmadze Mathematical Institute“, მისი პირველი გამოცემა იქნება ჟურნალის 170-ე ტომი, რომელიც მისი წინამორბედის ტომების ნუმერაციას გააგრძელებს. ამგვარად აქ არ მოხდება რიგითობის წყვეტა.

"Transactions of A.Razmadze Mathematical Institute“ ნიკო მუსხელიშვილის მიერ 1937 წელს დაარსებული მათემატიკური ჟურნალის გაგრძელებაა, რომელსაც 1947 წლის ჩათვლით ჰქონდა დასახელება ფრანგულ ენაზე: Travaux de L'Institute Mathematique de Tbilisi, ტ. 1-15 (1937-1947). ამ წლების განმავლობაში ჟურნალში გამოქვეყნდა მსოფლიოში ძალიან ცნობილი მათემატიკოსების ნაშრომები, ისეთების, როგორიცაა:




ადამარი, ტონელი (რომელიც გახლდათ ანდრია რაზმაძის დისერტაციის ოპონენტი სორბონაში), ბერგმანი, ერდეში, გიუნტერი, ჰარტმანი, უინტნერი, ლანდაუ, ლუ-კენგ ჰუა, კელდიში, ოსტროვსკი, ლავრენტიევი, გიორგი ნიკოლაძე და სხვა. შემდგომში ამ ჟურნალის გაგრძელება გამოდიოდა ორი, ქართული და რუსული დასახელებით: „Труды Тбилисского Математического Института“, „თბილისის მათემატიკის ინსტიტუტის შრომები“, ტ. 16-73 (1948-1983), მის გაგრძელებას მხოლოდ რუსული დასახელებადა შერჩა, ტ. 74-99(1984-1990), 1990 წლიდან ჟურნალი გამოდის მხოლოდ ინგლისურ ენაზე სახელწოდებით „Proceedings of A. Razmadze Mathematical Institute“, ტ. 100-169(1990-2015).

„შეიცვალა ჟურნალის გარეკანის დიზაინი. როგორც ხედავთ, მას კვლავ ამშვენებს ანდრია რაზმაძის გამოსახულება და ქართულ ენაზე არის წარწერა – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ელსევიერის ეგიდით გამოცემულ ჟურნალებს შორის მე პირადად ვერ მოვიძიე რომელიმე ქვეყნის ჟურნალი, რომელსაც ამ ქვეყნის ენაზე ჰქონდეს წარწერა“, – აცხადებს ჟურნალის მთავარი რედაქტორი, თსუ ა. რაზმაძის მატემატიკის ინსტიტუტის მათემატიკური ანალიზის განყოფილების გამგე. ფიზიკა-მათემატიკის

გაგრძელება მე-2 გვ.

# ლიტერატურული კონკურსის „შემოდგომის ლეგენდა“ გამარჯვებულები

„შემოდგომის ლეგენდა 2015“-ის გამარჯვებულების ვინაობა ცნობილია: პირველი ადგილი – ანი გიგაშვილი; მეორე ადგილი – მარიამ ჭუმ-

ბურიძე; მესამე ადგილი – ბექა ბერაძე. გასული თვის მიწურულს კახეთში, ილიას ტბაზე მდებარე ქართულ შატოში „როიალ ბატონი“ სტუდენტური ლიტერატურული კონკურსის „შემოდგომის ლეგენდა 2015“ იმპროვიზაციული ტური გაიმართა.

10 ფინალისტი შიდაშესარჩევმა ჟიურიმ გამოავლინა. ფინალისტები იმპროვიზაციულ ტურში ჟიურის მიერ შერჩეულ თემაზე, 12 საათის განმავლობაში ახალ ნაშრომებს ქმნიდნენ. ფინალისტთა შორის თბილისის სახელმწიფო, ილიას სახელმწიფო, შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო და ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტების სტუდენტები იყვნენ.

კონკურსის წლევანდელი თემა წარმოსახვითი ქალაქი და 10 პერსონაჟი (ბიბლიოთეკარი, პოლიციელი, მკერავი, სპეტაკი ყარაული, მძღოლი, მკითხავი, მზარეული, ქალაქის მერი, მეეზოვე, აზარტული მოთამაშე) იყო. ფინალისტებმა ერთ-ერთი მათგანი შემთხვევითობის პრინციპით აირჩიეს. მათ უნდა დაეწერათ თხზულება, რომლის სიუჟეტიც ქალაქში ვითარდება.

წლევანდელი კონკურსის გამარჯვებულს დასაწერად მკერავის პერსონაჟი შეხვდა. „კედლებზე დარჩენილი ამბავი" - ასე ჰქვია ანი გიგაშვილის სალიტერატურო ნაშრომს, რომელიც მან, კონკურსის პირობების შესაბამისად, თორმეტი საათის განმავლობაში დაწერა. პირველი საპრიზო ადგილის მფლობელი 1000 ლარით და კონკურსის სიმბოლოთი დაჯილდოვდა, მეორე და მესამე ადგილის მფლობელებს კი, შესაბამისად – 700 და 500 ლარი გადაეცათ. წელს ლიტერატურული ჟიური 6 წევრისგან შედგებოდა: მწერლები დათო ტურაშვილი, თეონა დოლენჯაშვილი, მაკა ლდოკონენი, ტორესა მოსი, მწერალი და გამომცემლობა „ინტელექტის“ ხელმძღვანელი ზვიად კვარაცხელია და შარშანდელი გამარჯვებული ქეთი მეფარიძე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კომპანია ჯეოსელის ერთობლივი პროექ-

გაგრძელება მე-4 გვ.

## ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის შერჩევის მიზნით კონკურსს აცხადებს

გვ. 3

## ვაჟას მემორიალური მუზეუმი თსუ-ში

1915 წელი იყო, 27 ივლისი. ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ვაჟა-ფშაველა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში (ახლანდელი თსუ პირველი კორპუსი) გახსნილ წმინდა ნინოს სახელობის ქართულ ღაზარეთში პლევრიტით იწვა. ვაჟამ მინდვრის ყვავილები მოითხოვა. როგორც ამბობენ, თხოვნა აუსრულეს. სწორედ აქ, მინდვრის ყვავილების გარემოცვაში გარდაიცვალა უდიდესი ქართველი მგოსანი და მოგზაროვნე.

აქ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვაჟა-ფშაველას გარდაცვალებიდან 100 წლისთავზე ვაჟა ფშაველას მემორიალური მუზეუმი გაიხსნა. მუზეუმის გახსნას ესწრებოდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, ვაჟა-ფშაველას შთამომავლები, მოწვეული სტუმრები, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები.

გვ. 2

## კონკურსი სკოლის მოსწავლეებისათვის – „შექმენი ნარჩენებისგან საახალწლო ნაძვის ხე“

ახალი წელი ახლოვდება და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მოსწავლეებს მორიგ საახალწლო ეკოლოგიურ კონკურსში მონაწილეობას სთავაზობს. თსუ აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის საბავშვო უნივერსიტეტის, თსუ-ეკო კლუბის, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მხარდაჭერით ცხადდება კონკურსი სკოლის მოსწავლეებისათვის – „შექმენი ნარჩენებისგან საახალწლო ნაძვის ხე“. კონკურსი მთელი საქართველოს მასშტაბით გარდება და მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ მსურველს. კონკურსის მიზანი, ტყეებისა და ახალგაზრდა ნაძვის ხეების უმოწყალო ჭრის შეჩერებაა.

გვ. 2

# სიახლეები

***

1 დეკემბერს, 15.00 საათზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ცნობილი პოლონელი საზოგადო მოღვაწე, ჟურნალისტი, ესეისტი და ისტორიკოსი ადამ მიხნიკი წაიკითხავს საჯარო ლექციას თემაზე: „ევროკავშირი – რეალობა და მოლოდინები“. ლექციის შემდეგ გაიმართება დია დისკუსია, რომელშიც სტუდენტებთან ერთად, ჩაერთვებიან მიხნიკის ქართველი კოლეგები. საუბარი შეეხება იმ გამოწვევებს, რომელიც დემოკრატიზაციის გზაზე მდგარ ქვეყანას ელოდება. სამუშო ენა: პოლონური ქართული თარგმანით. დასწრება თავისუფალია.

***

25 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიული ფაკულტეტის ორგანიზებით გერმანიის ფედერალური სოციალური სასამართლოს მოსამართლემ პროფესორმა ნორბერტ ბერნსდორფმა წაიკითხა საჯარო ლექცია: “გერმანიის სოციალურ სისტემებში სიღარიბეს გამოქცეული მიგრანტების შემოდინება”.

***

25 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა სტუდენტთა 75-ე საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის შრომების წიგნის პრეზენტაცია და კონფერენციაში გამარჯვებულ სტუდენტთა დაჯილდოება.

***

24 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა სამეცნიერო სემინარი პოლიტეკონომიკური საუბრები ღადო პაპავასთან თემაზე - “ეკონომიკის თეორიის ზოგიერთი საკითხი მართლმადიდებლური სწავლების ასპექტით”. სემინარის მომხსენებელი იყო ასოცირებული პროფესორი ინეზა გაგნიძე.

***

24 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა, „ქობულეთის სამედიცინო ცენტრსა“, შპს „ქ. ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონული ცენტრსა“ და შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს“ შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მხარეები მიზნად ისახავენ სტუდენტებისთვის, მაძიებლებისთვის და ახალგაზრდა ექიმებისათვის თანამედროვე სტანდარტის შესაგვისი სამედიცინო განათლებისა და პრაქტიკული უნარების მიცემის ხელშეწყობას.

***

24 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის მიმართულებისა და კრიმინოლოგიის კვლევითი ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული თინათინ წერეთლის 110 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კონფერენცია გაიხსნა. მასში მონაწილეობა მიიღეს პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა.

***

20 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პორტუგალიური ენის ცენტრში ხელოვნებათმცოდნემ დიანა კუნიამ წაიკითხა მოხსენება თანამედროვე პორტუგალიელი მხატვრის, გრასა მორაისის შემოქმედებაზე, რომელიც დაიბადა ჩრდილო-აღმოსავლეთ პორტუგალიაში (1948) და რომლის ადგილობრივმა კულტურამ დიდი ზეგავლენა იქონია მორაისის მხატვრობაზე. თსუ-ს პორტუგალიური ენის ცენტრი ღიაა მათთვის, ვისაც სურს მეტი შეიტყოს პორტუგალიური და ბრაზილიური ტრადიციების, მუსიკის, ლიტერატურის, საზოგადოებისა თუ კულტურული მემკვიდრეობის შესახებ.

***

19 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა და თსუ ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი ზურაბ გაიპარაშვილი თელავში იმყოფებოდნენ, სადაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და თელავის მუნიციპალიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. ღონისძიების ფარგლებში თსუ რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ დამსწრე საზოგადოებისთვის წაიკითხა საჯარო ლექცია, რომელიც შეეხებოდა საქართველოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ კურსს.

***

19 ნოემბერს თსუ-ს ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრმა, 2015 წლის იანვარ-აგვისტოში საქართველო-ევროკავშირის საგარეო ვაჭრობის კვლევის შედეგების პრეზენტაცია ჩააგარა. კვლევაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო აღგილობრივი წარმოების ქართული პროდუქციის ექსპორტის ანალიზს. კვლევის შედეგებმა დაადასტურა ევროკავშირში საქართველოს მთლიანი ექსპორტის სტაბილურ მატება და გამოავლინა სუფთა ექსპორტის (ექსპორტი რეექსპორტის გამოკლებით) მკვეთრი, 40%-იანი ზრდა.

***

20 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თსუ ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ინსტიტუტის ორგანიზებით გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია „ძველი და ახალი თანამედროვე ხელოვნება - ახალი ხედვა“. კონფერენციაზე მოხსენებით წარსდგნენ: კატარინა პალმბერგერი ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტიდან, ნანა სიხარულიძე თსუ-დან, სოფი რიგბი ლონდონის უნივერსიტეტიდან და სხვები.

***

19 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ცერნის ATLAS კოლაბორაციის წევრი ფიზიკოსმა ნუგზარ მოსულიშვილმა თსუ უწყვეტი განათლების ცენტრის მოწვევით წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე „თანამედროვე და მომავლის ექსპერიმენტები ცერნში“. საჯარო ლექციაზე ისაუბრეს ცერნის მისიასა და დანიშნულებაზე, იქ მიმდინარე ექსპერიმენტებზე, რომელთა საშუალებითაც მეცნიერები ცდილობენ, პასუხი გაეცეს თანამედროვე ფიზიკის, ასტროფიზიკისა და კოსმოლოგიის სფეროში დაგროვილ უამრავ კითხვას, რომლებიც შესწავლასა და გადაჭრას საჭიროებს.

***

19 ნოემბერს თსუ-ში ნიდერლანდების სამეფოს საელჩო და ჰოლანდიის ველოსიპედების საელჩომ ჩააგარა სემინარი „თბილისი ორ ბორბალზე“. სემინარი წაიკითხა ჰოლანდიის ველოსიპედების საელჩოს ველოსიპედების ექსპერტმა მარტეინ ტე ლინტელომ.ველოსიპედი ჰოლანდიური კულტურის განუყოფელი ნაწილია. ნიდერლანდების გამოცდილება ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა ქალაქის დაგეგმარება, გზების დიზაინი, ველოპარკინგი, საგრანსპორტო პოლიტიკა და ა.შ. სხვა ქვეყნებისთვისაც საინტერესოა. ამ სემინარზე სწორედ ამ გამოცდილებაზე ისაუბრეს, ასევე განიხილეს თბილისში ველოსიპედით გადაადგილების შესაძლებლობები.

# თსუ ინსტიტუტის ჟურნალი Elsevier-ის ბაზაში შევიდა

*პირველი გვერდიდან*

მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი ვახტანგ კოკილაშვილი.

პირველი ტომიდან დაწყებული დღემდე ჟურნალში გამოქვეყნებული ნაშრომების რეფერირება ხდება მსოფლიოს სამ ძირითად რეფერატულ ჟურნალში: ა) „Mathematical Reviews“ (აშშ), ბ) „Zentralblatt Für Mathematik“ (გერმანია), გ) „Реферативный Журнал“ (რუსეთი).

ბოლო ათი წლის განმავლობაში ჟურნალში გამოქვეყნებულია ავტორთა შრომები: აშშ-დან, დიდი ბრიტანეთიდან, იაპონიიდან, ჩინეთიდან, შვედეთიდან, პოლონეთიდან, ესპანეთიდან, პორტუგალიიდან, რუსეთიდან, ხორვატიიდან, ბულგარეთიდან, ჩეხეთიდან, თურქეთიდან, ინდოეთიდან, პაკისტანიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, ყაზახეთიდან, ჰონგ კონგიდან, ალჟირიდან, მაროკოდან და ნიგერიიდან.

ჟურნალში ბოლო ოცი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სტატიების მეცნიერულ ღირებულებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მთელი რიგი ავტორების შედეგები შემდგომში შევიდა მონოგრაფიებში. ეს მონოგრაფიები კი გამოქვეყნებულია მსოფლიოს მაღალავტორიტეტულ გამომცემლობებში: Chapman and Hall, BirkhÄuser, Springer, World Scientific და სხვა.

გამოცემის პირველი დღიდან დღემდე ჟურნალში ქვეყნდებოდა და მომავალშიც გამოქვეყნდება მხოლოდ კვლევითი ხასიათის უახლესი შედეგები. ასეთი ტიპის ჟურნალს, მიჩნეულია, რომ უფრო მიესადაგება Transactions, vidre Proceedings. ამ უკანასკნელი ტიპის ჟურნალებში შეიძლება გამოქვეყნდეს სასწავლო ხასიათის სტატიები, პოპულარული სტატიები და სხვა.

Elsevier-ის ბაზაში ჟურნალის განთავსებასთან დაკავშირებით გადახალისდა სარედაქციო კოლეგია. დაცულია ბალანსი უცხოელი და ქართველი გამომცემლების (Editors) რიცხოვნობას შორის. გამომცემლების შემადგენლობა წარმოდგენილია ორ ნაწილად: გამომცემლები, ისინი მხოლოდ უცხოელები არიან. მათი ციტირების H-ინდექსი Scopus-ის მიხედვით მერყეობს 12-დან 17-მდე, ასევე მაღალია ასოცირებული გამომცემლების (Associate Editors) რეიტინგები.

როგორც ვახტანგ კოკილაშვილი აღნიშნავს, დღემდე გამოქვეყნებული ტომების მოცულობა 130 გვერდიდან 160 გვერდამდე მერყეობს. 2016 წელს დაგეგმილია 3 ტომის გამოცემა, რომლის მოცულობაც სავარაუდოდ 500 გვერდამდე იქნება. რა თქმა უნდა მოცულობა ასევე დამოკიდებული იქნება შემოსული სტატიების რაოდენობაზე, მაგრამ Elsevier-თან დადებული ხელშეკრულების თანახმად იგი 500 გვერდს ვერ გადააჭარბებს.

ჟურნალში ქვეყნდება მხოლოდ კვლევითი ხასიათის უახლესი მეცნიერული შედეგები. გარდა ამისა, დასრულებული კვლევითი ხასიათის შედეგების შესახებ მოკლე შეტყობინებები, შეტყობინებები მომავალი კონფერენციების, სიმპოზიუმების შესახებ, აგრეთვე ინსტიტუტის ყოველწლიურ სამეცნიერო კონფერენციებზე წარმოდგენილი მოხსენებების მოკლე ვარიანტები. ეს ყველაფერი ქართველი მათემატიკოსების შედეგების დროულ დაფიქსირებას, საავტორო უფლებების დაცვას ემსახურება.

ნაშრომები საშუალოდ ორ რეცენზენტს ეგზავნება. რეცენზენტთა შორის არიან მსოფლიოში ცნობილი ექსპერტები მათემატიკის სხვადასხვა დარგში.

ჟურნალ Elsevier-ის ბაზაში განთავსება ხელს, პირველ რიგში, ქართველ მათემატიკოსთა ნაშრომების მეტ ინტერნაციონალიზაციას შეუწყობს. ეს განაპირობებს მათი ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვას, მეტი უცხოელი ავტორების მოზიდვას, ჟურნალის ცნობადობის ამაღლებას. ყველაფერი ეს იქნება ჟურნალის შემდგომი განვითარების საწინდარი.

# ვაჟას მემორიალური მუზეუმი თსუ-ში

*პირველი გვერდიდან*

„ვაჟა-ფშაველას გარდაცვალებიდან 100 წელი შესრულდა და გადაწყდა უნივერსიტეტში, იმ ოთახში, სადაც ვაჟა-ფშაველამ უკანასკნელი დღეები გაატარა მემორიალური მუზეუმი გახსნილიყო. უნივერსიტეტის ამ ფლიგელში არსებულ ლაბარეთში გარდაიცვალა პოეტი. მუზეუმში გამოვფინეთ ვაჟა-ფშაველას გარდაცვალებასთან დაკავშრებით ყველა დოკუმენტი, რომელიც იმ პერიოდში ოფიციალურად გამოიცა, უწყებებს შორის მიმოწერები, ასევე მისი რამდენიმე ხელნაწერი. უნივერსიტეტში ასევე დაცულია, რამდენიმე ნახატი ქართველი მხატვრებისა, რომელიც შესრულებულია ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებების მიხედვით, რომელიც მუზეუმში გამოიფინა“, – განაცხადა თსუ მუზეუმის დირექტორმა მაია გურაბანიძემ.

„დღეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დღეა. ჩვენი ყველაზე დიდი ქართველებიდან ვაჟა-ფშაველა ერთადერთია, რომელიც შემოვიდა და დარჩა უნივერსიტეტში. მან ცხოვრება დაიწყო ქოხში და დაასრულა ცოდნის ტაძარში. ვაჟა-ფშაველას უზარმაზარი მიზიდულობის მუხტი აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ, როგორც ახალგაზრდებისთვის განათლების მიცემის საშუალება. ეს მუზეუმიც სწორედ ამ დატვირთვის არის. ვაჟა თავისი ცხოვრებით, თავისი გარდაცვალებით და მთელი მისი შემოქმედებით გვაიძულებს გავნათლდეთ და შევითავისოთ მისი ფასეულობები და გადავცეთ თაობებს“, – აღნიშნა ვაჟა-ფშაველას შთამომავალმა, ამავე დროს, ვაჟა-ფშაველას ფონდის თავმჯდომარემ ლელა რაზიკაშვილმა.

მემორიალური მუზეუმი განთავსდა ოთახში, სადაც დიდმა მწერალმა უკანასკნელი დღეები გაატარა. გამოიფინა პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი მასალები. მათ შორისაა მწერლის დაბადების მოწმობა, სხვადასხვა დროის ცხოვრებისეული საბუთები, გარდაცვალების ამსახველი დოკუმენტები, მგოსნის ხელნაწერთა ასლები. ასევე პოეტის ნიღაბი, საწვენე, რითაც სარგებლობდა ავადმყოფი პოეტი, ვაჟას მამის, პავლე რაზიკაშვილის ხელჯოხი და სხვ.

მუზეუმში განთავსდა ვაჟას ნაწარმოებებზე შექმნილი ნამუშევრებმა ცნობილი მხატვრების: ლადო გუდიაშვილის, ელენე ახვლედიანის, გოგი და ირაკლი ოჩიაურების, სევერიან მაისაშვილის, ლევან ცუცქირიძისა და სხვათა ავტორობით.

# კონკურსი სკოლის მოსწავლეებისათვის – „შექმენი ნარჩენებისგან საახალწლო ნაძვის ხე“

კონკურსი ჩაარდება სამ ეტაპად: პირველი ეტაპი – რეგისტრაციას გულისხმობს. კონკურსის ჩატარების ვადები – 2015 წლის 1 ნოემბრიდან – 1 დეკემბრამდეა. ამ პერიოდის განმავლობაში მოსწავლეებმა ნაძვის ხეები სხვადასხვა სახის ნარჩენისგან უნდა დაამშადონ: მაგალითად, მაკულატურა, პოლიეთილენი, მეტალი, ბიუტერია, ქსოვილი და სხვა ისე, რომ არ გამოიყენონ ნედლი ხე ან მისი ტოტები. შეიძლება მხოლოდ ღეროსათვის ხის ჯოხის გამოყენება. კონკურსში მონაწილე სკოლის მოსწავლემ უნდა გაიაროს რეგისტრაცია და ნარჩენებისგან შექმნილი „ნაძვის ხის“ ამსახველი ფოტო სურათი (1 ფოტო) გამოაგზავნოს მითითებულ ლინკზე.

მეორე ეტაპი – ნამუშევრების გამოფენაა. მის ფარგლებში 2015 წლის 11 დეკემბერს ქ. თბილისში გაიმართება აღმოსავლეთ საქართველოდან შერჩეული ნამუშევრების გამოფენა. 2015 წლის 12 დეკემბერს ქ. ქუთაისში გაიმართება დასავლეთ საქართველოდან შერჩეული ნამუშევრების გამოფენა.

მესამე ეტაპზე კი 2015 წლის 25 დეკემბერს თსუ1 კორპუსში უკვე კონკურსში გამარჯვებული მონაწილეების დაჯილდოება გაიმართება. საუკეთესო ნამუშევრების ავტორებს სამახსოვრო პრიზები და სერტიფიკატები გადაეცემათ.

ცნობისათვის, ერთ სკოლას შეუძლია შექმნას რამდენიმე ხელოვნური ნაძვის ხე. მათგან აარჩიოს ერთი საუკეთესო და ამ ნამუშევრის ამსახველი ფოტო სურათი გამოგვიგზავნოს! თითოეულ ნაძვის ხეს მხოლოდ ერთი ავტორი უნდა ჰყავდეს.

3. ფოტო უნდა აიტვირთოს ლინკზე: http://www.picz.ge/scripts/up.py?lang=geo-ზე! დამატებითი ინფორმაციისთვის მსურველებს შეუძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ ნომრებზე:555 25 43 55 – ნანა მეფარიშვილი, 551 38 44 20 -ნიკა წითელაშვილი. ან მისწერონ თსუ-ეკო კლუბს ელ. მისამართზე: tsuecoclub@tsu.ge

# თსუ სტუდენტები გამოგონებას დუბაიში წარადგენენ

*პირველი გვერდიდან*

როგორც გიორგი მეშველიანი განმარტავს, მათი გამოგონების შექმნა დაახლოებით 150 დოლარამდე დაჯდა. უკვე არსებული, მსგავსი ტიპის ხელთათმანებისაგან კი იგი იმით განსხვავდება, რომ ამ გამოგონების საშუალებით ადამიანებს შეეძლებათ მაქსიმალურად იგრძნონ თავად ვირტუალური ობიექტები და ასევე მათი სიმკვრივე და ტემპერატურაც. მეორეკურსელი გიორგი მეშველიანი და პირველკურსელი სიმონ ინვია თავის მეგობრებთან ერთად ხელთათმანის სხვადასხვა გამოფენებსა და კონკურსებში წარმოდგენის პარალელურად მის უფრო დახვეწილ მოდელებზეც მუშაობენ.

„ერთად არაერთ კონკურსში მიგვიღია მონაწილეობა. ყველაფერი კი ჰაკათონით დაიწყო, სადაც მე-3 ადგილი ავიღეთ. შემდეგ იყო კონკურსი ინტელ აისეფი (INTEL ISSEF) და სხვა. რადგან უკვე კარგ გუნდად ჩამოყალიბდით, მომავალშიც ერთად ვფიქრობთ მუშაობას. გვსურს ჩვენი გამოგონება ვაქციოთ ბიზნესისთვის კარგ პროდუქტად. ამ ეტაპზე ამაზე ვმუშაობთ“. – ამბობს გიორგი მეშველიანი.

როგორც გამოგონების ავტორები ფიქრობენ, ამ ინტერაქტიული ხელთათმანის კიდევ უფრო გაუმჯობესებული მოდელის მომავალში გამოყენება რამდენიმე მიმართულებით იქნება შესაძლებელი. კერძოდ, რობოტიკაში (მეცნიერებისა და ტექნიკის დარგი, რობოტების შექმნის, კვლევის და გამოყენების შესახებ), მედიცინაში, დისტანციაზე ოპერაციების ჩატარების თვალსაზრისით და ასევე სამხედრო დარგში, უკვე ტრენინგების თვალსაზრისით.

გამოფენაზე სტუდენტებს პოტენციურ ინვესტორებთან შეხვედრის შესაძლებლობა ექნებათ. სტუდენტებმა, სხვა გამომგონებლებთან ერთად, ინტერაქტიული ხელთათმანი 10-17 ნოემბერს თბილისში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებულ მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო კვირეულზეც წარმოადგინეს.

# თსუ მეცნიერებისა და ინოვაციების კვირეულზე

10 ნოემბერს საქართველოში მეცნიერებისა და ინოვაციების კვირეული გაიხსნა. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა აქტიური მონაწილეობა მიიღო აღნიშნულ ღონისძიებაში. კვირეული 17 ნოემბრამდე გაგრძელდა, რომლის ფარგლებშიც ჩატარდა საერთაშორისო მასშტაბის ცენტრალური და აგრეთვე 100-ზე მეტი პარალელური ღონისძიება: კონფერენციები, პრეზენტაციები, გამოფენები, სამეცნიერო-პოპულარული ლექცია-სემინარები, ტრენინგები, „ვორკშოფები“, ღია კარის დღეები, სამეცნიერო კაფეები, სახალისო მეცნიერება სკოლის მოსწავლეებისთვის და სხვა, რომელშიც ჩართულნი იყვნენ თსუ-ს აკადემიური წრის წარმომადგენლები და სტუდენტები. ღონისძიების ორგანიზატორი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გახლდათ. საერთაშორისო სამეცნიერო ფესტივალის ფარგლებში 14 ნოემბერს თსუ სტუდენტებმა და პროფესორებმა გამართეს საჯარო ლექციები. დამთვალიერებლებმა მონაწილეობა მიიღეს იმიტირებულ არქეოლოგიურ საველე სამუშაოებში, სახალისო ექსპერიმენტებში ფიზიკასა და ქიმიაში. „ექსპო-ჯორჯიაში“ გამოიფინა თსუ ბოლოგიის მუზეუმისა და თსუ მინერალოგიის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიის ექსპონანტები.

# თვალჭრელიძის ინსტიტუტის საგამოცდო ცენტრის აკრედიტაცია

სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი“ აღასტურებს, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის საგამოცდო ცენტრი „გეოანალიტიკა“ შეფასდა და აკმაყოფილებს ეროვნული სტანდარტის სსდ ისო/იეკ 17025:2010-ის მოთხოვნებს. ინსტიტუტის საგამოცდო ცენტრი, კერძოდ, აკრედიტებულია შემდეგ სფეროებში: კონცენტრატები და მადნები, შავი ლითონები, ფეროშენადნობები, არამადნეული მასალები, ფორიანი შემავსებლები, მინერალური ნივთიერებები, ცემენტი, მინერალური პროდუქტები, მშრალი სამშენებლო ნარევები, არამადნეული მასალები, ნიადაგები, ზედაპირული წყლები. აკრედიტაციის მოწმობა ძალაშია 2019 წლის ნოემბრამდე.

## დადგენილება №109/2015 – სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების, პრეტენდენტთა რეგისტრაციის დაწყებისა და მათი შერჩევის კრიტერიუმების შესახებ განცხადების ტექსტის დამტკიცების თაობაგე

დადგენილება №109/2015
26 ოქტომბერი 2015

## სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების, პრეტენდენტთა რეგისტრაციის დაწყებისა და მათი შერჩევის კრიტერიუმების შესახებ განცხადების ტექსტის დამტკიცების თაობაგე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 54–ე მუხლის პირველი ნაწილის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 57–ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული “საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების” მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და თსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის 23.10.2015, №39716/02 წერილის საფუძველზე,

***აკადემიური საბჭო ადგენს:***

1. გამოცხადდეს კონკურსი სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის შერჩევის მიზნით, დაიწყოს პრეტენდენტთა რეგისტრაცია და დამტკიცდეს კონკურსის გამოცხადების, პრეტენდენტთა რეგისტრაციისა და მათი შერჩევის კრიტერიუმების შესახებ განცხადების ტექსტი (დანართი №1).
2. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მითითებების საფუძველზე კონკურსის ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით, უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით 2015 წლის 30 ნოემბრამდე დამტკიცდეს შესაბამისი კომისია.
3. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.
4. დადგენილების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
5. წინამდებარე დადგენილებით დამტკიცებული განცხადების ტექსტი გამოქვეყნდეს გაზეთებში - „რეზონანსი“, „კვირის პალიტრა“ და „თბილისის უნივერსიტეტი“.
6. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6).
7. დადგენილება ძალაში შედის საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა
რექტორი, პროფესორი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

დანართი №1

## განცხადება სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების, პრეტენდენტთა რეგისტრაციის დაწყებისა და მათი შერჩევის კრიტერიუმების შესახებ

1. გამოცხადდეს კონკურსი სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის შერჩევის მიზნით და დაიწყოს პრეტენდენტთა რეგისტრაცია.
2. პრეტენდენტთა რეგისტრაცია დაიწყოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2015 წლის 30 ნოემბრის 10:00 საათიდან, მისამართზე ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №1, ოთახი №114.
3. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატობის პრეტენდენტთა რეგისტრაციის ბოლო ვადად განისაზღვროს 2015 წლის 11 დეკემბრის 18:00 საათი.
4. აკადემიური საბჭოს მიერ კონკურსანტების შეფასება განხორციელდეს 2 ეტაპად:
ა) დოკუმენტური მონაცემების შეფასება – 2015 წლის 21 დეკემბრიდან არა უგვიანეს 30 დეკემბრისა;
ბ) პრეტენდენტებთან გასაუბრება – 2016 წლის 14 იანვრიდან არა უგვიანეს 28 იანვრისა.
5. აკადემიური საბჭოს მიერ პრეტენდენტების შეფასების განხორციელებისა და კონკურსის საფუძველზე შერჩეული ერთი კანდიდატურის წარმომადგენლობითი საბჭოსათვის წარდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2016 წლის 5 თებერვალი.
6. პრეტენდენტი უნდა იყოს:
ა) უმაღლესი განათლების მქონე;
ბ) ფინანსური ან/და მატერიალური ან/და ადმინისტრაციული რესურსების მართვის სფეროში გამოცდილების მქონე;
გ) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის გამოცდილების მქონე;
დ) 65 წელზე ნაკლები ასაკის.
7. პრეტენდენტმა სარეგისტრაციოდ უნდა წარადგინოს:
ა) განცხადება აკადემიური საბჭოს სახელზე;
ბ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (დიპლომის) ასლი;
გ) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;
დ) ავტობიოგრაფია (CV);
ე) კონცეფცია და სამოქმედო გეგმა;
ვ) 2 ფოტოსურათი, ზომით 3x4-ზე;
ზ) ნასამართლობის შესახებ ცნობა;
თ) სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა.

# ლიტერატურული კონკურსის „შემოდგომის ლეგენდა“ გამარჯვებულები

*პირველი გვერდიდან*

ტი – სტუდენტური ლიტერატურული კონკურსი წელს მეშვიდედ გაიმართა. მასში მონაწილეობის მიღების საშუალება საქართველოს ყველა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტს აქვს.

ძირითადი კონკურსის პარალელურად ყველა მსურველს უკვე მესამედ ჰქონდა შესაძლებლობა ჩართულიყო ონლაინ ლიტერატურულ მარათონში. კონკურსში 439 კონკურსანტი დარეგისტრირდა. „ჯეოსელის“ სპეციალური აპლიკაციის დახმარებით დარეგისტრირებული კონკურსანტები ფინალისტებისთვის მიცემულ თემაზე თავადაც ქმნიდნენ ახალ ნაშრომს.

მარათონის გამარჯვებული თამთა ქამუშაძე გახლდა, რომელმაც შექმნა ნაშრომი „ცილის ჯილა“. იგი ჯეოსელმა სასტუმრო „როიალ ბაგონის“ ორდღიანი საგზურით დააჯილდოვა. კონკურსის საინფორმაციო მხარდამჭერია ბეჭდური და ონლაინ გამოცემა „ლიბერალი“, რომელიც გამარჯვებული ავტორის ნაშრომს გამოაქვეყნებს. ჩვენ კი დღეს სამი გამარჯვებულის ნაშრომების მხოლოდ ფრაგმენტებს შემოგთავაზებთ:

***ნი გიგაშვილი – „კედლებზე დარჩენილი ამბავი“ (I ადგილი, იმპროვიზაციული ტური 2015)***

***იმედი***

აღრე წავიკითხე ადამიანი შიმშილს ორმოცი დღე უძლებსო.

თერთმეტი დამრჩა.

კარანტინი რომ გამოცხადდა კაბაზე დასალამბი ძაფები ჯერ კიდევ არ მქონდა მოხსნილი. ჩვენს ოთახში რადიო ყოველთვის ცუდად იჭერდა, მაგრამ ის კი კარგად გავიგე რომ სახლები არ უნდა დაგვეტოვებინა. მე სახლისგან შორს ვიყავი.

...

დედამ დარეკა, შეშინებულმა, მაგრამ არ იმჩნევდა. მჯერა ხვალ დილით სახლში დაბრუნებას შეძლებო. ყიყლიყოებსაც დაგახვედრებო, დააყოლა. მეათე კლასის შემდეგ ყიყლიყოები არ გაუკეთებია. ხვალ დილით ხომ გააკეთებდა.

თერთმეტი დღე დამრჩა. 29 უკვე გავიდა. ჰაერს მძიმედ ვყლაპავ, მაგრამ იქნებ ხვალ სახლში მივიდე, იქნებ ყიყლიყოებიც დამხვდეს.

***გვირილების ქუჩა***

ხელებს ვეღარ იმორჩილებდა, მაგრამ ქუჩას მაინც ალაგებდა. ეგ ერთადერთი საქმე იყო რაც იცოდა. აკანკალებულ ხელებს კი უფლებას არ მისცემდა სანაგვეზე გადაეგდო ეგ საქმე. ჩვენს ქუჩაზე მეთერთმეტე კლასის შემდეგ აღარ მინახავს. ერთ დილას დავინახე, შუა გზაზე ყვავილებს კრეფდა. ამბობდნენ გაგიჟდაო. ალბათ საკუთარ თავს, უფრო სწორად, ხელებს ვერ აპატია საქმის ღალატი. დარწმუნებული ვარ ეგონა გვირილებს კრეფდა. მგონი მეეზოვეებს მარგო გვირილები უყვართ.

მაგ ამბის შემდეგ წითელი რევოლუციის ქუჩა ჩემთვის გვირილების ქუჩად იქცა.

აქედან რომ გავალ მეც გვირილებს დავკრეფ, ალბათ.

***შიში***

მეშვიდე დღეს იქმნა ნათელი, ცეცხლისფერი. სარკმლიდან გავიხედე, ბიბლიოთეკას ცეცხლი ეკიდა, ეკლესიის გუმბათი მონგრეული იყო. მაშინ მივხვდი რაღაც ძალიან ცუდი ხდებოდა. მეცხრე დღეს გახრწნილი გვამების სუნი ვიგრძენი. აბა სხვას რას უნდა დაემძიმებინა ჰაერი ასე, ცხვირში წვას რომ გიგოვებს.

...

ღამით განათებები არ ჩართულა. შორიდან მხოლოდ უცნაური არაადამიანური ხმები ისმოდა.

დილით მეეზოვეებიც აღარ გამოვლენ.

ქუჩა იქნება ცარიელი და მხოლოდ გვამები დარჩებიან ერთად.

რადიო რომ ჩაირთოს კიდეც, სიხშირეს ვეღარ დაიჭერს. აღარავინაა ვინც მოუსმენს.

მე ყიყლიყოები დამხვდება სახლში“.

***მარიამ ჭუმბურიძე – „აირბაგი“ (II ადგილი, იმპროვიზაციული ტური 2015)***

„მოკლე ღურჯი კაბის ქვეშ ნელა შეუცურა ხელი, თავი სახესთან ახლოს მიუტანა, ოცი ლარით მეტს მოგცემო, ღიმილით უთხრა. ტაქსის მძღოლმა ბოლომდე მიაჭირა ფეხი სიჩქარის პედალს და საგვირთო მანქანის სიგნალსა და ანთებულ ფარებში შთაინთქა.

***

მაკა საღამოს შვიდ საათზე იღვიძებს, დაუმთავრებელ სიზმრებს მეორე დღისთვის გამზადებულ სპეციალურ ჩანთაში ჩააწყობს, საწოლის თავთან დაკიდებს და გაყინულ ფეხებს ვარდისფერ ჩუსტებში გაყოფს, სარკესთან შავ გაუხეშებულ თმას კეფასთან გაიკრავს, სულ ორი კაბა აქვს წითელი გრძელი და მოკლე ღურჯი. უშაქრო ყავას სამ ყლუპში დალევს, სამზარეულოს მაგიდაზე დადებულ გაზეთს ზემოდან დახედავს, კარს გაიხურავს და როგორც გუშინ წინ, ისევ ისე ეცდება ტაქსის ყვითელი ნიშნის მანქანის ელექტროობასთან მიერთებას, ისევ ისე მიესალმება მეზობლებს და ძველებურად დაუბრუნებს ბლოკით ნაშენი კორპუსი ექოსავით საკუთარ ხმას.

***

მაკა ხუთი თვის ფეხმძიმე იყო ქმარმა ნერვები, ოჯახის ნივთები, სამსახური, ტანსაცმელი და წიგნები კაბინოს რომ უსახსოვრა, მერე ერთი-ორჯერ მთვრალმა აქა-იქ გაისროლა და წაგების შხამით გაბრუებულმა ვერც გაიგო როდის მოხვდა გისოსებს მიღმა და იქაც მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რომ მანქანაც ფული იყო.

მაკას ბევრი თმა გაუთეთრდა, ბევრიც შეიღება ამიაკის სუნით თავაგკივებულმა, ბევრიც სიმწრისაგან ამოიგლიჯა, ბოლოს გადაღლილმა, საკუთარ თავთან ბრძოლაში ძალაგამოცლილმა, შეგუების გზა არჩია და აზარტული პატიმარი მოთამაშის ცოლის სტატუსს დანებდა, იმ დღიდან დაიწყო „გოლგოთის ავლა“, ბევრჯერ გადატკეპნა ქალაქში სამსახურის საძებნი გზა და ყველა გზამ ბოლოს მაინც ბრეზენტგადაფარებული ქმრის მანქანასთან და ბოლო ბეჭდის გაყიდული ფულით ყვითელი ტაქსის ნიშანთან მიიყვანა.

***

სამუშაოდ ღამე გამოდიოდა იმ მარტივი მიზეზის გამო რომ ღამე ნაკლები შანსი იყო ნაცნობი სახეების დალანდვის, კბილებიდან გამოცრილი ღანძღვის კარგად დასწავლილი ფრაზებით გულის ძაფების დაწყვეტის.

მაკა ღამე ცხოვრობდა და თვიდან თვემდე ძლივს აგროვებდა გინეკოლოგის ვიზიტის, წამლებისა და მეორადებში ჯერ არ დაბადებული ბავშვისათვის საყიდელი ნივთების ფულს“.

***ბექა ბერაძე – „120 გრადუსი“ (III ადგილი, იმპროვიზაციული ტური 2015)***

***კარლო***

კარლო ყოველ დილას 6 საათზე იღვიძებდა, 7-ის 10 წუთზე კი მისი მაღვიძარა რეკავდა, თუ რაღა თქმა უნდა სამუშაო დღე იყო. თუ არადა მაღვიძარა საერთოდ არ რეკავდა. მერე სწრაფად აგვარებდა პირადი ჰიგიენის საკითხებს და სახელდახელოდ მომზადებულ საუზმეს მიირთმევდა. თუ სამუშაო დღე იყო, მუნდირსაც იცმევდა. ბოლოს თავის 50 წლის დაძველების, მუხაში გაწყობილ, ცოტა არ იყოს და ჟანგმოდებულ შაშხანასაც მოიმარჯვებდა და სამსახურში მიდიოდა.

ბევრი არაფერი ევალებოდა კარლოს. ერთ ადგილას უნდა დამდგარიყო და ერთ წერტილში უნდა ეცქირა. სიმართლე რომ ვთქვათ, კარლოსთვის დიდი ხნის წინ დაკარგა მნიშვნელობა იმან, თუ რა მოვლენის საპატივსაცემოდ ააგეს უზარმაზარი მარმარილოს მემორიალი, რომელიც მის უკან უტყვად იდგა ან რატომ ააგიზგიზეს მარადიული ცეცხლი, რომლის ალის ენებიც კარლოს წინ თამაშობდნენ. ერადერთი, რასაც კარლოსთვის მნიშვნელობა ჰქონდა მის სამსახურში (მოკრძალებული ხელფასის გარდა), ცქერის თავისუფლება იყო. აბა სცადეთ თავად და უყურეთ ერთ წერტილს მთელი დღე, ყოველ დღე. იქვე შეურაცხადად შეგრაცხავენ და შესაბამის დაწესებულებაში გიკრავენ თავს.

კარლოს თავისი ჩარჩო ჰქონდა, შემოსაზღვრული ადამიანის თვალის არასრულფასოვნებით. მოსწონდა ის, თუ როგორ შემოდიოდნენ და გადიოდნენ ამ ჩარჩოდან ყოველდღიურ გაუგებრობაში გახვეული ადამიანები, როგორ იხატებოდა თითოეული მათგანის ხასიათი მათ სიარულის მანერაში, მათ რიგმში, უცნაურ ჩვევებში. მოსწონდა, თუ როგორ იკითხებოდა მათი ურთიერთდამოკიდებულება მათსავე სხეულის ენაში.

საკმარისი იყო ადამიანს შეებიჯებინა ამ ჩარჩოში და კარლოს უკეთესად ესმოდა მათი პრობლემების, შფოთვების, ფიქრების, ვიდრე თავად მათ.

ყველაზე მეტად კი, კარლოს მზია უყვარდა. უყვარდა მისი თითოეული მიხვრა-მოხვრა, თითოეული ჟესტი. უყვარდა მზიას უცნაური სიარულის მანერა, რომელიც მეგწილად მისი არაპროპორციულად გრძელი კიდურებით და ბავშვობაში ფეხზე მიღებული ტრამვის დატოვებული ოდნავ შესამჩნევი კოჭლობით იყო განპირობებული.

კარლო მზიას ყველაზე ლამაზ ქალად არ თვლიდა ქალაქში. საერთოდ არ თვლიდა მზიას ლამაზად, მაგრამ ყველაზე და ყველაფერზე მეტად მაინც მზიასთან ყოფნა, უფრო სწორად კი მისი ცქერა უნდოდა.

კარლო არ იყო კაცი, რომელიც მოქმედებს. მისთვის ცხოვრებაზე და ადამიანებზე დაკვრივება უფრო მნიშვნელოვანი გახლდათ. კარლო კმაყოფილი იყო თავისი ცხოვრებით და არ იცოდა, რომ რესპუბლიკის პრეზიდენტი მალე მათ ქალაქში ვიზიტს გადაწყვეტდა. არც ის იცოდა, რომ პრეზიდენტის მოსალოდნელი ვიზიტი გამოიწვევდა მოვლენათა ჯაჭვს, რომელიც კარლოს 6 თვის შემდეგ აიძულებდა ეყიდა საბრძოლო ვაზნა და ცხოვრებაში პირველად დაეტენა საკუთარი 50 წლის შაშხანა“.

# სტუდენტური კონკურსი „მისია 2015“

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური კონკურსი - „მისია 2015“ გამოცხადდა. თსუ-ს სტუდენტური კონკურსი მარკეტინგსა და პიარში - “მისია“ უნივერსიტეტის ყოველწლიური პროექტია, რომელსაც უნივერსიტეტი და წარმატებული ქართული ბრენდი ერთობლივად ახორციელებენ. ყოველწლიურად კონკურსის მონაწილე ბრენდი იცვლება და კონკურსანტები ახალ იდეებს ახალი პარტნიორისთვის ქმნიან. წელს, კონკურსის პარტნიორია კომპანია „თიბისი ბანკი“.

კონკურსი ორ ეტაპად ხორციელდება: პირველ ტურში მონაწილეები უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებულ დავალებას ასრულებენ, ხოლო მეორე ტურში პარტნიორი ბრენდის მარკეტინგისა და პიარის ვირტუალური მენეჯერები ხდებიან და კომპანიის საკომუნიკაციო სტრატეგიაზე მუშაობენ. კონკურსში მონაწილეობის მიღება უნივერსიტეტის სამივე საგანმანათლებლო საფეხურის სტუდენტებს შეუძლიათ. კონკურსი გუნდურია და მასში მონაწილეობას 3-5 სტუდენტი იღებს. კონკურსში მონაწილეობის მსურველებს შეეძლოთ 04 ნოემბრიდან - 25 ნოემბრის ჩათვლით მოემზადებინათ პირველი ტურის პროექტი (იხილეთ აპლიკაცია) და გამოაგზავნეთ საკონკურსო მისამართზე: misia@tsu.ge

კონკურსის პირველი ტურის დავალების შესაბამისად, კონკურსანტებს უნდა წარმოედგინათ პროექტი – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წიგნის მაღაზიათა ქსელის „Scripta Manent“ საკომუნიკაციო სტრატეგია 2015-ის შესახებ. მეორე ეტაპზე გასული 5 ფინალისტი გუნდი „თიბისი ბანკისგან“ ახალ დავალებას მიიღებს.

კონკურსის საპრიზო ფონდი 5000 ლარს შეადგენს, რომელსაც პარტნიორი ბრენდი უზრუნველყოფს. საპრიზო ფონდი გამარჯვებულ სამ გუნდზე ნაწილდება:

I ადგილი - 2500 ლარი

II ადგილი - 1500 ლარი

III ადგილი - 1000 ლარი.

კონკურსის მიზანია სტუდენტების ახალი იდეების განხორციელებისა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, კონკურსის გამარჯვებული სტუდენტების პარტნიორ კომპანიასთან თანამშრომლობის უზრუნველყოფა და სამომავლო დასაქმების პერსპექტივის ზრდა. კონკურსანტებს საშუალება ეძლევათ გახდნენ კომპანიის მარკეტინგისა და პიარის ვირტუალური მენეჯერები, დაგეგმონ კონკრეტული აქტივობები, გაიმარჯვონ კონკურსში, მოიპოვონ ფულადი პრემია და განახორციელონ თავიანთი იდეები. კონკურსი 2011 წელს დაიწყო და ოთხი წლის განმავლობაში პროექტის პარტნიორი კომპანიები იყვნენ: „IDS ბორჯომი საქართველო“, „გეოპლანტი“, „ნატახტარი“ და „შპს სანტე-ჯიემ-თი პროდუქტები“.

გაზეთი მომზადდა თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ. საკონტაქტო ინფორმაცია – ტელ: 2 22 23 91; ელ.ფოსტა: tsupr@tsu.ge; ვებ-გვერდი: www.tsu.edu.ge